1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 2
თებერვალი
1981

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (482) თებერვალი 1981 წელი

## განყოფილება პირველი

## შინაარსი

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. კ. ჯაბადარის საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 25-ე და 34-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

31. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის შესახებ.

## განყოფილება მეორე

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ფაღავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. პ. გულუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. კ[illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. სტუროუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ი. ჩორგოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ხოშტარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ჯონუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. კ. თედიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. კოპლატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ნალბანდოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობა.

ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 28 საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 2 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 29 ამხ. თ. კ. ჯაბადარის საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. თენგიზ კონსტანტინეს ძე ჯაბადარი საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 2 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 30 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 25-ე და 34-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 2 თებერვლის ბრძანებულებასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სამეურნეო სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარ სამეურნეო სამმართველოდ გარდაქმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის

კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253):

1. 25-ე მუხლს სიტყვების „საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო“.

2. 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 34.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატი

საქართველოს სსრ მთავრობის აპარატი შედგება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოსაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, რომელიც შედგება განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, წარმართავს მათ მუშაობას, ამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველ საკითხებს და უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას სათავეში უდგას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, რომელიც დადგენილი წესით შედის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

დებულებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველო, რომელიც შედგება განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან, ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეურნეო, საფინანსო, საბინაო-საყოფაცხოვრებო და ტექნიკურ მომსახურებას.

დებულებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს შესახებ და მის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 13 თებერვალი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 31 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1981 წლის 1 აგვისტოსათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 24 თებერვალი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 32 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი“**

**ბესელიას** რობერტ ნიკოლოზის ძეს — საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს.

**ბულაძეს** სიმონ სიმონის ძეს — ხაშურის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მმართველს.

**გაფრინდაშვილს** თამაზ ტერენტის ძეს — საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს.

**დემურიას** დავით ნიკოლოზის ძეს — ცხაკაიას სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მმართველს.

**ლეკიშვილს** ზაურ სოლომონის ძეს — ხარისხის სამმართველოს უფროსს.

**ლომაძეს** რევაზ მელიტონის ძეს — საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის დირექტორს.

**რეხვიაშვილს** მიხეილ ამირანის ძეს — მარნეულის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მმართველს.

**სალუქვაძეს** მაქსიმე მიხეილის ძეს — მახარაძის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მმართველის მოადგილეს.

**ჩიტაიას** არკადი ნიკოლოზის ძეს — აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჭყონიას** ნოდარ აქვსენტის ძეს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

**ხაინდრავას** მედეა ივანეს **ასულს** — საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და **ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის** წამყვან ინჟინერს.

**ხუბაშვილს** თინა **ნიკოლოზის ასულს** — მცხეთის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების **უფროს ინჟინერს.**

**ჯმუხაძეს** ნოდარ ნიკოლოზის ძეს — მეცხოველეობის ფერმების ელექტრომექანიზაციის სამმართველოს უფროსს.

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი"**

**მაჭანკალაძეს** გარუშ გრიგოლის ძეს — თეთრი წყაროს რაიონული საწარმოო გაერთიანების სარემონტო სახელოსნოს გამგეს.

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"**

**გრიგორიანს** ხნკანოს გრიგოლის ძეს — ბოგდანოვკის რაიონული საწარმოო გაერთიანების **ხარატს.**

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**

**თოდრიას** გიორგი გრიგოლის ძეს — ჩოხატაურის რაიონული საწარმოო გაერთიანების **უფროს ეკონომისტს.**

**ნაცარაშვილს** მარიამ დავითის ასულს — გორის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების მმართველის მოადგილეს.

**ნიკონენკოს** პოლინა პეტრეს ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი"**

**ბოდოკიას** ალექსანდრე იასონის ძეს — ქუთაისის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის მთავარ ბუხჰალტერს.

**კალანდარიშვილს** ლამარა სარდიონის ასულს — ლანჩხუთის რაიონული საწარმოო გაერთიანების მთავარ ბუხჰალტერს.

**მესხს** გიორგი სიმონის ძეს — ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარ **ბუხჰალტერს.**

**ქიტიაშვილს** მიხეილ გიორგის ძეს — პენსიონერს.

**ჯუსოევს** ალექსანდრე ვასილის ძეს — საჩხერის რაიონული საწარმოო გაერთიანების მთავარ ბუხჰალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 24 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 33 ამხ. ვ. ს. ფალავასთვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ელექტრონული მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ვახტანგ სამსონის ძე **ფალავას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 ამხ. კ. პ. გულუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ამხ. კოტე პეტრეს ძე **გულუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 ამხ. გ. კ. ნაჭყებიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გალაქტიონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინეს ძე ნაჭყებია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 ამხ. დ. გ. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი ამხ. დევი გიორგის ძე სტურუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 11 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 37 ამხ. ლ. ი. ჩორგოლაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლამარა იონას ასული ჩორგოლაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 11 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 38 ამხ. ს. ს. ხოშტარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განათლების ორგანოებსა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. სიმონ სამსონის ძე **ხოშტარია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 11 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 39 ამხ. ა. ნ. ჯონუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ალექსი ნესტორის ძე **ჯონუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 11 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 40 ამხ. ლ. კ. თედიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებითი გამოსვლისა და სპორტულ ორგანიზაციებში ნაყოფიერი მუშაობისათვის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 1972-1976 წლების ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ევროპისა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე

ამხ. ლევან ქიტოს ძეს **თედიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 ამხ. ა. ი. კოპლატაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ადერკინ ივანეს ძე **კოპლატაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 ამხ. ა. ნ. ნალბანდოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ერთიანი პარტბილეთისა და კადრების აღრიცხვის სექტორის გამგე ამხ. არუსიაკ ნიკოლოზის ასული **ნალბანდოვა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1981 წლის 12 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ო. მელქაძის მოხსენება 1980 წელს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შესახებ. აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ სსრ კავშირის კანონისა და სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შესახებ ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მტკიცდება კავშირი და უმჯობესდება ურთიერთმოქმედების ფორმები სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ კომისიებსა და სახალხო კონტროლის ორგანოებს შორის.

ამასთან სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში კვლავ შეინიშნება ნაკლოვანებანი. ისინი ყველგან აქტიურ ზეგავლენას არ ახდენენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საქმის ვითარებაზე, კულტურულ მშენებლობასა და მოსახლეობის მომსახურების სფეროზე. ზოგან ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სახალხო კონტროლის ყველაზე მასობრივი რგოლის — ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის აქტივიზაცია, რომლებიც უშუალოდ შრომითს კოლექტივებში მუშაობენ.

სახალხო დეპუტატთა ბევრი საბჭო და მათი აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, სათანადო დახმარებასა და მხარდაჭერას არ უწევენ სახალხო კონტროლიორებს.

*
* *

სხდომამ მოისმინა ინფორმაცია 1980 წლის 4-5 დეკემბერს ჩატარებული საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ერთიანი დღის შედეგების შესახებ

აღინიშნა, რომ დეპუტატის ერთიანი დღე მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, შრომითი ენთუზიაზმის ვითარებაში ჩატარდა, რაც გამოწვეული იყო რესპუბლიკის მიერ მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებით და სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შესახვედრად ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით.

შეხვედრებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკებმა, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებმა და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებმა.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ამომრჩევლებს გააცნეს მშრომელთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის, სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმისა და საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს II სესიის დადგენილებებით დასახული ამოცანები; ანგარიში ჩააბარეს სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული მუშაობისა და განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დეპუტატის ერთიანი დღის ჩატარების შედეგები მოწმობს, რომ საგრძნობლად გაიზარდა დეპუტატების აქტიურობა „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მოთხოვნებისა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების შესაბამისად დეპუტატთა საქმიანობის აქტივიზაციის აუცილებლობის, მათი როლის, პასუხისმგებლობისა და ინიციატივის ამაღლების შესახებ.

შეხვედრები მიმდინარეობდა ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობის ვითარებაში. გამოთქმულ იქნა კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც შეეხება მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო და საწარმოო საკითხებს, მოსახლეობის საარსებო სოციალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებს.

სახალხო დეპუტატთა მრავალი საბჭოს აღმასკომი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ერთიანი დღის ჩატარებას, კარგად მოამზადა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თითოეული დეპუტატის ამომრჩევლებთან შეხვედრა, რომელზეც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ ფართო მსჯელობის საგანი გახდა.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ყველა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომს დეპუტატთა შეხვედრა ამომრჩევლებთან აღნიშნულ დღეებში არ მოუწყვია; რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ნაწილმა ანგარიში არ ჩააბარა ამომრჩევლებს დეპუტატების ერთიან დღეს — 4-5 დეკემბერს.

* * *

პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. აზიროვის მოხსენება მოქალაქეთა ბინების მისაღებად აღრიცხვაზე აყვანისა და საბინაო ფონდის განაწილების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მოქალაქეთა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკაში მეათე ხუთწლედში საექსპლუატაციოდ გადაეცა 4.240 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და საბინაო პირობები გაუუმჯობესდა 152.480 ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარდება ღონისძიებანი ბარაკებიდან და სარდაფებიდან მოქალაქეების გა-
ყვანისათვის.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მდგომარეობა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. 1980 წლის 1 ოქტომბრისათვის ბინის მისაღებად აღრიცხვაზე იმყოფებოდა ათიათასობით ოჯახი.

ყველა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ იცავს ბინების განაწილების დადგენილ წესს (თერჯოლის, მაიაკოვსკის, გარდაბნის რაიონული, ბათუმის, სოხუმის, ტყვარჩელის საქალაქო საბჭოების აღმასკომები და სხვ.). შეინიშნება ბინების მისაღებად მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის წესის დარღვევის ფაქტებიც.

სახალხო დეპუტატთა რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებული დებულებები საცხოვრებელი ფართობის განაწილების შესახებ სრულიად არ შეესაბამება რესპუბლიკის კანონმდებლობას.

სოხუმის და ბათუმის საქალაქო საბჭოების აღმასკომებში არ ხდება ბინის მისაღებად აღრიცხვაზე აყვანილი მოქალაქეების პირადი საქმეების გადამოწმება და მათში სათანადო ცვლილებების შეტანა. მოქალაქეთა ერთი ნაწილი ჩაწერის ვადის და ფართობის ნორმის დარღვევითაა აღრიცხვაზე აყვანილი. ზოგიერთი მოქალაქის პირადი საქმე საერთოდ არ არის შედგენილი.

მთელ რიგ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში სათანადო ყურადღება არ ექცევა წარმოება-დაწესებულებებისა და უწყებების მიერ მუშა-მოსამსახურეთა ბინის მისაღებად აღრიცხვაზე აყვანისა და ბინების განაწილების საკითხებს (ქუთაისის ლითოფონის, მცირე გაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნები, კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება, ქ. თბილისის ლენინის, საბურთალოსა და გულრიფშის რაიონული საბჭოების აღმასკომების ტერიტორიებზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებები).

საცხოვრებელი ფართობის გაცემის საქმეში დარღვევები გამოვლინდა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ხაშურის, თელავის, ბორჯომის, გარდაბნის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში.

დეპუტატები აქტიურად არ მონაწილეობენ ბინების განაწილებისადმი კონტროლში. შესაბამისი მუდმივი კომისიები ღრმად არ სწვდებიან საბინაო განყოფილებების, სათანადო საწარმოებისა და ორგანიზაციების საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიების საქმიანობას ამ მიმართულებით. არის შემთხვევები, როცა აღმასკომების საბინაო განყოფილებათა მუშაკები ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, იჩენენ უპრინციპობას, რაც მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. იზრდება საბინაო საკითხებზე განცხადებებისა და საჩივრების ნაკადი ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცველ ორგანოებში.

აღნიშნული მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ამ საქმისადმი უპასუხისმგებლობითა და სუსტი კონტროლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

მოისმინა რა საგარეჯოს რაიონის უდაბნოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლ. გ. მარხვაშვილის ანგარიში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სასოფლო საბჭოს პირველი სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში — სამ თვეში, პარტიის საგარეჯოს რაიკომის ხელმძღვანელობით საბჭომ დიდი მუშაობა გასწია მიტოვებული სოფლის ასაღორძინებლად, რამაც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ყოველდღიურ საქმიანობაში უდაბნოს სასოფლო საბჭო სერიოზულ ყურადღებას უთმობს სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე იმ საკითხებისა და პრობლემების განხილვას, რომლებიც ითვალისწინებენ სარწყავი სისტემის გაფართოებას, ახალი მიწების ათვისებას, საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის შემდგომ განვითარებას, სოფლის ცენტრის განაშენიანებას, საცხოვრებელი სახლების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ობიექტების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას, მოსახლეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით უზრუნველყოფას.

ამჟამად სოფლის ცენტრის ტერიტორიაზე შენდება 30 საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საბავშვო ბაღი, ადმინისტრაციული შენობა და ა. შ.

მეთერთმეტე ხუთწლედში დასახულია საბჭოთა მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1980 წლის შედეგების შესახებ, მოისმინა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. კუტალიას ინფორმაცია ზუგდიდის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, განყოფილებებისა და სამმართველოების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარებისა და მშრომელთა წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხორციელების მდგომარეობის თაობაზე, ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. ბერიძის ინფორმაცია ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 12 თებერვლის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1667 კაცი:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან | 24 |
| „ ლენინის „ | 176 |
| „ ორჯონიკიძის „ | 219 |
| „ ოქტომბრის „ | 138 |
| ქ. გორიდან | 20 |
| ქ. ზუგდიდიდან | 89 |
| ქ. რუსთავიდან | 71 |
| ქ. ტყიბულიდან | 56 |
| ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონიდან | 17 |
| ახალციხის რაიონიდან | 75 |
| ახმეტის „ | 23 |
| ბოლნისის „ | 14 |
| გარდაბნის „ | 14 |
| ვანის „ | 73 |
| თელავის „ | 58 |
| თეთრი წყაროს | 66 |
| მცხეთის „ | 18 |
| ონის „ | 45 |
| სამტრედიის „ | 76 |
| საჩხერის „ | 17 |
| ქარელის „ | 36 |
| ყვარლის „ | 91 |
| წალენჯიხის „ | 113 |
| წალკის „ | 53 |
| წულუკიძის „ | 50 |
| ხაშურის „ | 35 |

## ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებით ქარელის რაიონის ცენტრი დაბა ქარელი გარდაიქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო ქარელის სადაბო საბჭო — ქარელის საქალაქო საბჭოდ.

ქარელის სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ უფლებამოსილება ქარელის საქალაქო საბჭოში.